ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლიდან აკადემიური საბჭოსთვის საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის, არჩევნების ჩატარების ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-11 მუხლის, მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 იანვრის №1 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დაინიშნოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ბიზნესის სკოლიდან აკადემიურ საბჭოში 1 ვაკანტურ ადგილზე.

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლიდან აკადემიურ საბჭოში აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2013 წლის 28 ოქტომბრიდან 2013 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5).

3. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

   ა) კანდიდატის სახელი და გვარი მის მიერ დაკავებული აკადემიური თანამდებობის მითითებით (კანდიდატი უნდა იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (სრული) ან ასოცირებული პროფესორი);

   ბ) ფაკულტეტის სახელწოდება;

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი შეავსოს 2 დღის განმავლობაში. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უარი რეგისტრაციაზე კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს

უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს საჩივრის მიღებიდან 3 დღის ვადაში.

5. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლას დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას 2013 წლის 1 ნოემბრამდე მიაწოდოს ბიზნესის სკოლის აკადემიური პერსონალისა და ბიზნესის სკოლის საბჭოს წევრ სტუდენტთა სია, სახელის, გვარის, პირადი ნომრის მითითებით.

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლიდან აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა არჩევნები ჩატარდეს 2013 წლის 20 ნოემბერს 13:00 საათიდან 14:00 საათამდე.

7. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები სამდივნოს, ბიზნესის სკოლას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.

რექტორი გიგი თევზაძე